საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-369

28/04/2020

ქ. თბილისი

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ ასფალტის წარმოებაზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმების შესახებ

2020 წლის 20 მარტს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2009 წლის 8 დეკემბერს გაცემული №103 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2009 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს თურქულ ქართული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპის“ ასფალტის წარმოებაზე გაიცა №103 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (08.12.2009). იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული დასკვნის დამტკიცების შესახებ შესაბამისი ბრძანება ვერ მოიძებნა, განმცხადებლის მომართვის საფუძველზე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2012 წლიდან საწარმო აღარ ფუნქციონირებს და ტერიტორია გასხვისებულია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს თურქულ ქართული ერთობლივი კომპანია „ბლექ სი გრუპის“ ასფალტის წარმოებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2009 წლის 8 დეკემბერს გაცემული №103 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპს“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი